13 მარტი. 1908 ფასი 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიშადური

№ 31 „ნიშადურის“ შემდეგი ნომრები გამოვა № 31

**კვირაში ორჯერ**

— **ხუთშაბათოებით** და
— **კვირაოებით.**

წლიური ფასი 5 მან. ნახევარის წლით 3 მან.

სააღდგომოთ წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდება **ნობათად**

**ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი**

და **„ნიშადურის კრებული“** (მეორე წიგნი).



**ტყვეობაშიაც დიდებულია!**—ვერტგეიმერის ნახატი.

## სოციალ-დემოკრატია სოფლად

(შემდეგი)

### VIII

როგორც სოფელ დ—ში ანბანური დ—შვილი ისე სოფ. კ—ში თავადი ი. თ—შვილი „ბაგრატიონიანს“ გამოსვლის შემდეგ შეურიგდა ხალხსა, და „წითელ რაზმელებს“ და რეგორც ყველა შერიგებას მოჰყვება ხოლმე სოფელში, შერიგებულმა მხარეებმა ბური ერთად სჭამეს. თავად თ—შვილმა ჩაიტანა სოფ. კ—დაში ურმით დიდი ტიკი დვინო, სხვა და სხვა სანოვაგე და გაიმართა ქეიფი.

ბურის ჭამის დროს წარმოქმნილი იქმნა მრავალგვარი სიტყვები შერიგებისა, შეთანხმებისა, წარსულის დავიწყებისა, ერთად მოქმედებისა და მეგობრულ კანწყობილების შესახებ და სქმე კოტნა-ხვეგნით გათხოვდა, მაგრამ ამის და მიუხედავად სადმოზე ქეიფის შემდეგ რაზმელებმა მოჰკლეს თავადი თ—შვილი, თავი მოსჭრეს და იმისვე ურმის ჭალზე ჩამოატვეს, გვამი ზედ დაუდეს, დაჰკრეს კამბეჩებს და უმეხრეოდ სოფლის გზაზედ გაუშვეს. კამეჩებმა მოკლული გვამი სოფ. ტ—ში აიტანეს და ერთ თავადის კარზე მიაყენეს.

სოფელ ოქ—ში დასწვეს თავად ფ—შვილის სახლი. დამე სახლს გარშემო ტეტხლი მისტეს, ხოლო თვით რაზმელები კარებსა და ფანჯრებთან თოფებით ჩადგნენ და ვინც ტეტხლ მოკიდებულ სახლიდან დაბიერებდა გამოვარდნას, ყველას სიკვდილს უქადნენ. სახლში ამ დროს იყვნენ სახლის პატრონი და მისი ნათესავი, ხანში შესული ქალი. როგორც სახლის პატრონს, ისე მის ნათესავ ქალს ეძინათ და ვერა გაიგეს რა. ბოლოს, როდესაც ტეტხლი მოელს სახლს მოედო, სახლის პატრონს გამოეღვიძა და რა დაინახა ალ-მოდებული სახლი, თავზარ დაცემული სცვლების ანბანარა ფანჯარაში გადავარდა და სოფლისკენ გაიქცა. მისი ნათესავი ქალი კი დაიწვა ტეტხლში. რამდენიმე დღის შემდეგ ქვებსა და ნაცარში იპოვეს მისი დანახშირებული ძვლები.

სოფელ წ—ში სცხოვრობდა ორი სამკაულად შეძლებული ოჯახი ძმათა კ—შვილებისა. ძმები ცალცალკე სცხოვრობდნენ და კარგადაც იყვნენ გასართულნი სასოფლებით. მრავალ გვარ შენობებით და მოწყობილობით. სოფლის მოძრაობის დასაწყისშივე კ-შვილებმა მიანებეს თავი რეგორც ადგილ-მამულს ისე თავის სარჩო-საბადებელს და ქალაქებში გაიხიზნენ. სახლების სადარაჯოთ დასტოვეს ერთი კაცი. ერთ დღეს ეს დარაჯი მოჰკლეს. რამდენიმე დღის შემდეგ სახლები მთლად გაძარცვეს, წაიღეს სახლების ძვირფასი მოწყობილობა, სხვა და სხვა ავეჯეულობა და ნივთეულობა, გავიდა კიდევ ერთი კვირა და ყველა შენობები მთლად გადასწვეს. მაგრამ საქმე ამაში არა, ეს სოფლად მოძრაობის დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აქ უნდა მოვიხსენიო ერთი შემთხვევა, რომელიც ერთხელ კიდევ ნათლად ახასიათებს სოფლებში მომქმედ ბრიბაგანდისტების ზნეობრივ ფიზიონომიას. სოფელ ს—შნის მასწავლებელი ე—შვილი, რომელიც სამაგალითოდ თავი და თავი მეთაური იყო იმ რაიონისა, რეგორც საქმიანა სჩანს. კ—შვილების სახლების გაძარცვასა და გადაწვაში დიდ მონაწილეობას იღებდა. მაშინ, როდესაც კ შვილების სახლების მოწყობილება რაზმელებმა და გლეხებმა დაინაწილეს და სახლებში წაიღეს. ბრიბაგანდისტმა ე—შვილმა **როიალი** არავის დაანება: ეს საკარვია, თქვენ არათვერში არ გამოგადგებათ, მე კი გამოვიყენებო. დაუდო ურემზე რაიალი და სახლში ჩაიტანა. მაგრამ ამ ბრიბაგანდისტ-მასწავლებლის ახირებული ქცევა ამიო არ გათავებულა. ალბად რომ დამშვიდდა და რაიალის დაკვრით კარგად იჯერა გული, შემდეგ მოისაზრა, რომ მის საქციელს რადისმე ვინმე ქურდობას უწოდებს, რომ გამოვარდება რომელიმე „ხულიგანი“ და შავ-რაზმელი“, რომელიც „გაჭბედავს“ და მის სპეტაკ წარსულს ჩირქსა და ლაქს მოსცხობს და ამ მოსაზრებით ის სწერს წერილს თბილისში რაიალის პატრონს კ—შვილს დაახლოვებით შემდეგი შინაარსის წერილს *): ბ-ნო №№. თქვენი სახლები გლეხებმა გაძარცვეს, შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს და მთლად გადასწვეს. რაც შეეხება რაიალს, იმისი ფიქრი და ჯავრი ნუ გექნებათ, სხვა და სხვა ავეჯეულობა რომ გლეხებმა დაიტაცეს, რაიალი მე წავიღე და ახლაც სახლში მაქვს და, რადგანაც თქვენ ალარც სასლი გაქვსთ და ალარც კარი, სადაც თქვენ შეგეძლებათ რაიალი დადგათ და დაუკრათ, ხოლო მე სახლიცა მაქვს და დაკვრაც ვიცი, ამიტომ გთხოვთ შემატყობინოთ, რა ფასი გავიდო, რომ რაიალი ჩემ საკუთრებად დარჩეს და ალარავინ არ წამამედაოსო. შემდეგ თვითონ ასახელებს რაიალის ფასს. 300 მ. მოგცემთ თქვენს რაიალშიო.

ქურდობასა, ძალადობასა და გაძარცვას რომ თავი დავანებოთ და არათვერი გსთქვათ, აქ ნება-უნებურად ორი კითხვა იბადება[1]) თუ კ—შვილისთვის, რეგორც მალალ წოდების კაცისთვის, რაიალი მეტ სიმდიდრეთ

*) ეს წერილი რაიალის პატრონს დღესაც შენახული აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითვლებოდვ და უნდა წართმეოდა, იმავე დროს რად უნდა ჩაითვალოს აუტიდებელ საჭირეოებათ ბრეპაგანდისტისთვის, რომელიც ებრძვის სიმდიდრესა და ფუფუნებასა და სოფლის მასწავლებელს, რომელსაც თვეში 25 მან. ჯამაგირი აქვს და ეს ფული მას არ ეყოფნის მარტო ჯამა-სმაზედაც კი, საიდანა აქვს 300 მან., რომელიც მას შეუძლიან ადვილად გადაგდოს ისეთ ნივთის შესაძენათ, როგორც რიალია!

სამწუხაროა თუ არა. მკითხველო, ის გარემოება ხალხის დიად მოძრაობას ამისთანა ზნეობისა და ჭკუის ვაჟბატონები უდგნენ საოვეში და მოქმედებდნენ ისე, როგორც სურდათ და ესმოდათ?!

(შემდეგი იქმნება)

**ხეობელი.**

## გაუყრელი მეგობარი

—

ახალ გაზდა ბიჭი ვიყავ,
რომ მეწვია სიღარიბე;
მოვეწონე მეც მასპინძლად
და მიმაჭრა უცბად ჯიბე.
მითხრა: კუჭზე არ იფიქრო!..
სიმდიდრეა მხოლოდ გული...
ფულის ნაცვლად შიგ ჩაიდევ
შენი ქვეყნის სიყვარული.
და იფიქრე მხოლოდ სხვებზე!..
იფიქრებენ შენზე სხვები!..
ვინ არის, რომ არ უნდოდეს
გადიხადოს ნასესხები.
მომეწონა მისი სიტყვა,
რაც მერჩია, გავუგონე:
დავანებე ჩემსას თავი
შევალიე სხვისას ღონე.
მაგრამ ახლა, რომ დავბერდი,
აღარ ველი დანაპირსა;
შიმშილისგან კბილებ შეკრულს,
ველარ მიხსნის დანა პირსა!
სიღარიბე მაინც კიდევ
სანუგეშოდ მეუბნება:
„თან ჩაგყვები სამარეში!..
აქ მოგველის განსვენება“!
აბა, ამისთანა უნდა
გაუყრელი მეგობარი!!!
სხვა ჩემს მეტი ვერვინ ნახავს,
გინდ გადავლოს მთა და ბარი!!!

**აკაკი.**



## საპყრობილეში

(ესკიზი)

ოთხ კედელ შუა გაშტერებული შეჰყურებს ტუსაღი რკინით მოჭედილ სარკმელს. ნესტისაგან აშმორებულ ოთახს თითქო სამგლოვიარო ძაძა გადაჰფარებია, ჩამი-ჩუმი არსით არ ისმის, არაფერი არა სჩანს, ირგვლივ წყვდი-დია გამეფებული...

— თავგანწირული ამხანაგები საფლავს ჩავიდნენ და თავის გმირობით ხალხის გულში სამუდამო ძეგლი ამართეს, მე სადღა ვარ! წამოიძახა ცრემლ მორეულმა ტუსაღმა და გულმიხდილი იქვე კედელს მიეყრდნო.

— ჰო, საპყრობილეში... მაგრამ არა, რამდენად მტანჯვენ და მაწამებენ იმდენად უფრო სულით ავმაღლდები, ძალ-ღონეს მოვიკრებ, მტერზე უარეს იერიშს მივიტან და სანეტარო იდეას მაღლა ავმართავ, შენ კი საპყრობილევ, უფრო უარესად აშმორებული, დახავსებული შეიქნები...

— სიკვდილით, მხოლოდ სიკვდილით შეისიდვის იდეა... და აი კიდეც ვიღაც, ხელში მახვილით, თავს დამტრიალებს...

— ოჰ, ეს სასტიკი და შეუბრალებელი კაცია... მაგრამ არა, იგი მშვიდი და კეთილია... იგი უცბად დამიხსნის გახრწნილ სხეულისაგან და თავისუფლებას მომინიჭებს... მივაღწევ რა თავისუფლებას სხვებსაც გავანთავისუფლებ და მათთან ერთად ვუმღერ ხალხს თავისუფლების სიმღერას, მხოლოდ მაშინ დ ვსტკბები ბუნებით დაჯილდოვებულ სიმდიღრით...

— მე ხომ მონა არა ვარ!.. მე თავისუფალი ვარ, გავჩნდი, ვცოცხლობ და ვკვდები სხვებსავით. ოჰ, რა საბრალო ხარ ადამიანო! ქვითინებ, ცხარე ცრემლებს ღვრი შენს—მონურ—ცხოვრებაზე.... უბადრუკო ხალხო, თითქო თქვენც მონად არ იყოთ გაჩენილი და, როგორც მე, თავისუფალნი ხართ? .. უზენაესო ძალავ, მოეც მოსვენება ადამიანს, რომელიც დაუძლურებულია და სულთქმამდის შევიწროებულია...

— მაშ გამარჯვება, სიკვდილო! მხოლოდ შენ ხარ უკვდავი და სხვასაც უკვდავებას ანიჭებ... მშვიდობით სიცოცხლევ! გულ გრილო და ზღვასავით მკაცრო! ეხლა შენ ველარ აატოკებ ჩემ გულს, ვერ ჩასჭიდებ შენ შეუბრალებელ კლანჭებს ჩემს დატანჯულ სულს.

სიკვდილით, მხოლოდ სიკვდილით შეისყიდების იდეა...

ერთი წამიც და მე, როგორც ღმერთი, უკვდავი შევიქმნები...

**გ. შალიბაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალამური** — გაიერის ნახატი.



**სირცხვილი**—იაკობ ნიკოლაძის ქანდაკი.

## „ებრაელები“

(უკანასკნელი ქართული წარმოდგენის გამო)

მტარვალთგან ცეცხლი ეროვნებისა
ებრაელთ გულში ჩანელებულა
და წარსული დრო აყვავებისა
ღამის წყვდიადით გარემოცულა.
ოდესმე მათის ბრწყინვალებითა
ას ორმოცი მზე დაბნელებულა.
ურიასტანში ღვთიური მადლი
თავისუფლების ცეცხლით ნთებულა.
მაგრამა დღეს კი ამაო არი,—
ეს ყველაფერი გასიზმრებულა
და ებრაელთა თავისუფლება
ავაზაკთაგან შეგინებულა!

**ი. მჭედლიშვილი.**

## ი... ს...

(ლექსი პროზით)

ბედმა არგუნა მას მწარე ხვედრი: მას არ უგრძვნია დედის ალერსი, არცა მამისა მოფერებანი... და ყველა მხრიდგან ესმოდა იმას გველთა სისინი—ბოროტთა ხმანი. ალერსის ნაცვლად დედინაცვალი მას აღვრევინებდა ცხარე ცრემლებსა, აწყევლინებდა გაჩენის დღესა, ქვეყნიერებას. კეთილი ღმერთი მისთვის ამ ქვეყნად არ არსებობდა; მისთვის ამ ქვეყნად მზე არ ბრწყინავდა და არცა მთვარე შუქს არა ჰფენდა. და როცა იგი მწვანე ჭალაში მდინარის პირად ცრემლებს აფრქვევდა, თუმცა ესმოდა ბულბულის ხმანი და იგი ხმანი მის დაღალულსა გულსა ხვდებოდნენ, მაგრამ ნუგეშსა კი ვერა სცემდნენ: ის კარგად გრძნობდა, ბულბული მისთვის რომ არ გალობდა .. და ის სტიროდა, უკვნესდა გული და თან ეძებდა ბედნიერებას, ნაზსა ალერსსა. დიახ, ჯერ იმას ტკბილი ალერსი არსად ენახა.

ცხოვრება მისთვის ტანჯვის ზღვა იყო. უცებ ამ ზღვაში მან თვალი მოჰკრა უცხო კუნძულსა. საწყალს ეგონა, რომ იქ ჰპოვებდა მშვიდ ნავსადგურსა და გააქანა იმისკენ ნავი... მან არ დაზოგა ღონე, არც მკლავი და მიცურდა ნავი კუნძულისკენ: იგი ეძებდა ნაზსა ალერსსა იქვე ნაპირთან ნახა ფერია და ჩააკონა ტუჩი ტუჩებში. მაგრამ მოსტყუვდა; მან ვერა ჰპოვა რასაც ეძებდა: ფერიას მკერდში ცივი ქვა იდვა გულის მაგივრად.

ა.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი ბატონყმობის დროს.

*
* *
(მიბაძვა)

მესმის, მესმის საზარელი
ხმა ბორკილის შენებისა,
სიყალბის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
აღსადგენათ მონობისა.

*
* *

ცეცხლს მიკიდებს ხოლმე ეს ხმა
და მისუსტებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეგ ხმა მწარე
ამაცდინე ჩემს მამულში!

**ვარლამ.**

**გლეხი განთავისუფლების შემდეგ.**

**წერ.-კით. საზ. კრება.**

— წაიკითხე, როგორ დაგვამარცხეს ესფერებმა?!

— ეს დამარცხება კი არა—გამარჯვებაა! ერთი კიდევ მაგისთანა გამარჯვება და ესფერებს ბოლო მოეღებათ!

# არჩევნების წინ

(ერთ მოქმ. სურ. ქუთათურ ებრაელების ცხოვრებიდან)

(**სცენა:** ებრაელის, მოშას ფართლის დუქანი. უკან მოდგმული პატარა ოთახი; დუქანში სხედან: რეფელა—მოშას შვილი და შალომა—მოშას ახლობელი მოგვარე—ნათესავი. უცდიან მოშას მოსვლას. შემოდის მოშა.)

**რეფელა.** იყავ იმ „ხმელ ძაღლთან“? რათ გიბარებდა?

**მოშა.** ვიყავი... შენი მტერიაა, რომ ის ჩვენ საქმეს გვიპიროობს... სუყორიფელი გოუგიაა... აბა რაღასი ატუკატიაა. თუ რამე ეშმაკობა აკლდაა, ახალთაობის კაცათ რო ჩაწერილაა, ბევრი რამე დოუმატებსაა, უფრო გაეშმაკებულაა და სად რა ხდებაა, სუყორიფელი იციის... ვადაიი, ჩვენ რომ ღამე ავაზაკები დეგვესიაა... ვუი იმ შავ დღეს... რო გაგვჩხრიკეესე... იმ ჩვენი მეზობლის „ნასხლეტს“ [1]) რომ ეძებდნეენ... სუყორიფელი გოუგიაა... სუყორიფელი, ჩემი რჯულის მადლმაა... ასე დამექადნა, თუ ჩვენ ცოციალ დემოკრატია პარტიას არ დეეხმარებითეე და იმათ არ გაათეთ რეებთ, თქვენს ებრაელების უბანს გლაბაი საქმე მოუვაოო... სულ თქვენი ბრალია, ის კაი პარტიის

[1]) „ნასხლეტს“—შვილს (საგინებელი სახელია).

ბიჭი რომ მოგვიკლესოო. ბიჭო, რეფელა, ლორთან იცისეე, არ ვიცი, რა გქნაო! რაცხა უბედურება მოდის ჩვენს თავზეე! რიბანე ყოლამე [2]), ალარ ვიცი რა დროს მოვესწარიით... რას იტყვი, ბიჭო? მოდი, ერთი ვუგეშოთ რამე მაგ ატუკატს და ეგება მაგანვე როგორმე მოაშაფათოსე ეს საქმეე...

**რეფელა**. (დაფიქრებული) რა ვქნათ არ ვიცი...

**შალომა**. აქანაა, ჩემო მოშაა, მოგეშაი ვერ გასჭრიის, აქანაა დიდ ნინტერესზეა საქმეი... რას იზამ, ჩემო მოშაა, უნდა აუსრულოთ ნებაიი, ნუ სწუხაარ! ხმებს, ვადაიი, ჩემი რჯულის მადლმაა, ბევრს ვუშონითეე... ჩვენს საგვარეულო სალოცავშიი ჯამაათს გამოვუცხადოთე... ვველას შეეშინდებაა და ჩვენ დაგვიჯერებსე.

**რეფელა**. მერე, რომ გაგვიგონ სხვა პარტიებმა, მათ რაღა ვუთხრათ? ხომ ჩაგვემტერებიან ფედერალისტები, რევოლიუციონერები... ან ივლიანეს პარტიას რაღას ეტყვი? ჩვენ ხომ ივლიანეს პარტიას დავპირდით!.. მერე, თუ ივლიანემ გეიგო, ალარ დაგვინდობს და ჩვენს ვექსილებს...

**შალომა**. (გაწყვეტინებს, ტოტათი გულმოსული და ხმა მაღლა) ბიჭო, რამ გადაგრიაა! რის პარტიაი, ჩემი რჯულის მადლმა, რა პარტიაი... ადონაიმ ყველა პარტია დააშამათოსე.*) ივლიანე, ბიჭო, რას გაიგებსე, თუ ჩვენ ქალალდებში ვისი გვარები დავწერეთეე. ვადაიი, ჩემი რჯულის მადლმაა, ძალა ახლა მაგათ ხელშიაა: ეგენიი ცარცვავეენ, ეგენიი გლეჯავენ; ბომბებს ეგენი ისვრიანეე; ლორთან [3]) იცისეე, ეგენი არიან ახლა ყველას ბატონებიი. თითონ მაგ ატუკატიი, მაგას ხომ ჩვენ კარგათ ვიცნოფთე, რა ხრიკიანი კაციაა. აბა, მაგ, ვაუბატონი რომ არ გამოელოდეს რამესე და მაგათი არ ეშინოდეეს, განა მაგ ბიჭ-ბუჭებსე და რაზბონიკებს აყვებაა?

**რეფელა**. დიდიმი იმისთანა ეშმაკია, რომ ის გაიგებს, ჩვენ რომ ივლიანეს პარტიას ვუღალატოთ. (ამ დროს შემოდის ს. დ., ტანწვრილი, დაბალი, ჯამხდარი, ადვოკატი. ყველანი ფეხზე წამოდგებიან. ადვოკატი ყველას ხელს ჩამოართმევს და გვერდ უკანა პატარა ოთახში. სამივე მორიდებით უკან გაჰყვებიან. ადვოკატი კარს მოხურავს)

**ადვოკატი**. (დინჯის ხმით) მოშა, მე წელან დამავიწყდა, რომ გადმომეცა შენთვის აი ეს, პარტიის მზა ბლანკები. აქ ჩვენი პარტიის კანდიდატების გვარები სწერია; ყველა პატიოსანი კაციაა. აი, ეს ბლანკები დაარიგეთ თქვენებში იცოდე, მოშა, რაც მე შენ გითხარი, ისე მოიქეცი... ბევრს ხმა არ გვიშოვნეთ და ჩვენები ვერ გაიგებენ, მაშინ თქვენს თავზე სწორეთ გლახა საქმე დატრიალდება. ამიტომ, თქვენ ძლიერ უნდა ეცადოთ და ჩვენი პარტიის კაცები გაიყვანოთ. მე პარტიაპი ამხანაგებს გამოვუცხადებ, რომ თქვენ ჩვენი მხარე გიჭირავთ. იმასაც ვიტყვი, რომ თქვენ, ებრაელებს, იმ ჩვენი პარტიის წევრის მოკვლაში არავითარი ბრალი არ მიგიძღვით. ერთი სიტყვით, მე ყველაფერს მოვახერხებ.. მაგრამ, თუ მოგვატყუილეთ და ჩვენი კანდიდატები არ გაათეთრეთ, მაშინ კი პარტია გლახა საქმეს გიზამთ—მთელს თქვენს უბანს სულ ბომბებით გაანადგურებენ. (უკანასკნელ წინადადებას, განსაკუთრებით სიტყვას „ბომბებით“ ადვოკატი ტოტა მაღალის ხმით იტყვის და ხელსაც ოდნავ მაღლა ასწევს. მოშა და შალომა ხკამებიდან წამოხტებიან, ბოდოს რეფელაც წამოდგება. მოშას ფესვები აუკანკალდება და ტოტა ხნის შემდეგ ისევ ძაგ-ძაგით ჩაჯდება სკამზე. რეფელაც ჯდება. შალომა მეტს მხნეობას იჩენს).

**შალომა**. მაგას რასა ბრძანეფეე, ჩემო ბატონო! ვადაიი ჩემი რჯულის მადლმაა, მინისტრად კაცი ვარგხარ და მაგასე კადრულოფეე? ჩვენც კაცები ვართეე, ხმებს, ლორთან იცისეე, ძალიან ბევრს გიშოვნითეე. ჰოო, კაიი... ვადაიი. ლოო?[4]) (ხელს ტუჩებზე მიიდებს) ნუ იტყვი, ლორთან იცისეე მაგისთანა საჯაყი სიტყვებსეე!

**რეფელა**. მე გიმნაზიიდან მახსოვხარ; მე მეხუთე კლასიდან გამოვედი და შენ კი გაათავე; მაშინაც გეტყობოდა, რომ დიდი ჭკუის პატრონი. აბა, სარგებლობას რომ არ ხედავდე, განა შენ თითონ მაგ პარტიაში ჩაეწერებოდი? მე დიდი ხანია ვიცი, რომ თქვენი პარტია კირგია, სასარგებლო პარტიაა. შენ არხეინად იყავი; ჩვენ ყველანი დღესვე შეუდგებით საქმეს და ხმებს ბევრს გიშოვნით. მომეცი მაგ ბლანკები. (ადვოკატი გაცვლიტ)

**ადვოკატ**. აბა, იცოდეთ... არავის არ უთხრათ რაც მე გითხარით... იცოდეთ, არ გამთქვათ!..

**ყველანი**. არა, ბატონო, თქვენ მაგაზე არხინად ბძანდებოდეთ. (ადვოკატი ყველას ხელს ართმევს და გადის),

**შალომა**. (ხელებს მაღლა აიშვერს) ოოი, ლორთანი... წინ წყალი და უკან მეწყერიი!.. შენცე, შენი პარტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმეს მოგიკვახრაჯინებ

—

**მარკოზე.**— თუ ძმა ხარ, ჩემო გოგია' მითხოვე შენს შვილს რკინის გზის უფასო ბილეთი. შვილი მწერს ვიატსკის გუბერნიიდან, რომ არ ჩამოხვიდე არ ქნა, ძანნ დიდი საქმე მაქვსო. აბა ერთი მითხარი, ჩემო გოგია, რა საშვალებით შემიძლია მე, ერთ საწყალს, დარიბ-დატაკს, იქ წასვლა, თუ შენისთანა გულმოწყალე და მოხერხებული კაცი არ შემეწევა!..

**გოგია.**— დარწმუნებული იყავი, ჩემო მარკოზ, რომ შევასრულებდი შენს თხოვნას, მაგრამ ის რკინის გზის ბილეთები, რომლებიც ჩემს შვილს ეძლევა, „ბეზპლატნოთ“, ჩვენდა საბედნიეროთ და შენდა კი საუბედუროთ უკვე გავიხარჯეთ. მაგრამ საქმეს მაინც არა უშავს-რა, ჩემო მარკოზ, მოხერხებული კაცი ეოვედთვის ეველაფერს მოახერხებს. მე შენ ისე მოგიკვახრაჯინებ საქმეს, რომ „ბეზპლატნი ბილეთი“ თვით ჩვენმა ხალხთა შემბრალე გუბერნატორმა მოგცეს და სულ მალე შენს შვილთან ამოგეყოთ თავი.

**მარკოზე** — რანაირად კაცო?

**გოგია.**— რანაირად და სულ ადვილად... გიჯაშუშებ „ბუნტოვჩიკი“ არის-თქო და გათავდა!

**მარკოზე.**— ვაიმე... ახლა კი დევიდუზე კაკალი კაცი! გოგია' გეფედრები: ნუ, ნუ შეიწუნარებ ჩემ თხოვნას, არც შვილთან ჩასვლა მინდა და არც იქიდამ ჩემი დაუბრუნებლობა!

**ალ. ჩახუნაშვილი.**

## ესდეკი და გლეხი

—

ერთხელ ეს-დეკი მიეოცდა გლეხთან,
უთხრა: „ნუ მიცქერ მტრულადო;
აწ ჩემი შიში ნულარ გაქვს,
მენდევი მეგობრულადო;
შენ თითონ ხედავ, არა ვარ—
იგი, რაც წინედ ვიყავი;
ეს რავდენიმე ხანია
გამოვიცვალე მე ტყავი.
„ჩამონაჭრები“ განვდევნეთ
პარტიის პროგრამიდანა,
„მუნიციპალიზმს“ მიწისას
ვქადაგობ იმავ დღიდანა.
ავტონომიას თუ მკითხავ,
არც მაზე ვამბობ უარსა,
თუმც ზოგიერთი ჩვენგანი
უწოდებს იმას ცრუ-ავსა...
თვით ხომ ჰხედავ, კარგი რამ მსურს
ვიყოთ ძმაო, მეგობარი
ჩემი გწამდეს, სხვას ყველას კი
არ უსმინო, ხელი ჰკარი“.
გლეხმა მიუგო: „ვხედავ, რომ
გამოგიცვლია ტყავია,
მაგრამ გული შეგრჩენია
ძველებრ მრუდე და ავია?
რაც წინეთ იყავ, ისა ხარ—
იგივე ავი სულია,
დღეს ალბად მიტომ მოსულხარ,
შემოგლევია ფულია!..
კარგადა ვხედავ, ვინც არის
ჩემი მტერი და მოვყარე!..
კმარა რაც მცინცლე, მატყუვე,
რაც შავ დღენი დამაყარე“

**Котикъ.**

## რა უნდოდათ?

**ნინიკა.** რა უნდოდათ სოციალ-დემოკრატებს წ. კ. საზოგადოების კრებაზე? ვერ მივხვდი...

**ივანიკა.** სწორედ ის უნდოდათ, რაც ვერმიშოვმა და კამპანიამ ჩაიდინა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზეო. თავისიანები რომ ამოერჩიათ გამგეობაში, მაშინ ნახავდი თუ როგორ ჩაუვარდებოდნენ გულში ნიკო ცხვედაძესა და სამსონ ფიცხელავას და რა ქვითინს მოჰყვებოდნენ!

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„ეშმაკის მათრახის“ უკანასკნელ №-ში დათიკო მესხზე დაბეჭდილი იყო, ვითომ ის მიიწვიეს კლუბნათ პეტერბურგის ცირკში. სიმართლის აღსადგენათ, ვთხოვ „ნიშადურის“ რედაქციას ამ ამბავის ეს განმარტება დამისტამბოს.

დათიკო მესხს მე კარგ ხანია ვიცნობ. ქუთაისის საზოგადოებას, რომელსაც ის მართლაც ხშირად აცინებს, თუმცა ეს სიცილი, ვისაც გაგება უნდა, ხან და ხან, ცრემლზე უფრო მწარეა,—გაუჭირდება მისი შელევა და პეტერბურგის ცირკს არ დაუთმობს. „რვეზორი-ეშმაკი“ მართალს იწერება ქუთაისიდან, რომ ერთს საღამოს, როცა დათიკო მესხი სცენიდან იკბინებოდა, პეტერბურგის ცირკის წარმომადგენელი დაესწრო და დათიკოსთან მოლაპარაკება გამართაო. მეც ვიყავი იმ საღამოზე და ამ მოლაპარაკებასაც დავესწარი. დ თიკომ იმ საღამოს, სხვათა შორის, სთქვა სცენიდან (ეს ლექსიც და ბევრი სხვა კბენია ლექსებიც უკვე გამოქვეყნებულია):

ვხედავ, გამრავლებულან ერთი ჯურის „ისტები“,—
ვითომ ხალხის ქომაგნი—ნამდვილ შანტაჟისტები!..
—„სამშობლო რას გვიქვიან, კუჭნი ვქონდეს მაძღრები!“—
ამას დაქადაგობენ ახალმოდის მასხრები!.. და სხვ. და სხვ.

საზოგადოებას მოეწონა ეს ლექსი და იქ მყოფმა ცირკის წარმომადგენელმა იმთენი იცინა და ვაშა იძახა, რომ კუჭზე კინალამ გაირღვა. როგორც კი ჩამოვიდა სცენიდან დათიკო, ის ცირკის წარმომადგენელი იმ წამსვე მივიდა მასთან და უთხრა:

—ამხანაგო! გთხოვ მიცნობდე—პეტერბურგის ცირკის წარმომადგენელი—სერგ ჯაფარ! თქვენის ოხუნჯობით გამაგიჟეთ! თქვენ დიდი განძი იქნებით ჩვენის ცირკისთვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლოუნები, მართალია, ბევრი გვყავს ჩვენ· ჟორდანო ბლუნო, ფილიპო დურო, პეტრო კარიბო, თავათ მეც ვკლოუნობ, მაგრამ ამ ბოლო დროს თითქოს რაღაც ფხა დავკარგეთ, საფანელი შემოგვაკლდა და ცირკისათვის ახალი კაცია საჭირო, საზოგადოების გასართობათ. სასყიდელს კაის მოგცემთ. ფული ჩვენდონი ვის მოუხვეტია და ჯერაც ისე არ დავძაბუნებულვართ,—კიდე ვერ მოვხვეტოთ. იქიდან გამოვაქვეყნოთ ჩვენი ოხუნჯობა და ქვეყანას მოედება, თვარა, რასაც აქ იტყვი, აქვე დარჩება. აბა, დავკრათ ხელი, გავრიგდეთ!

— არა, ბატ. სერჟ,—პეტერბურგში კლოუნობა ღმერთმა თქვენ მოგახმაროთ, იქ თქვენ იტაკი-მასხარეთ, როგორც გიმასხარებიათ, მე კი ამ ჩვენს პატარა ქუთაისში ვიქნები ისევ. აბა, რაც თქვენ დიდებული კლოუნები გადმოთვალეთ იმათთან, და ან თუნდა თქვენთან მე როგორ მოვალ? რა შუაშია! თქვენ იმისთანა ჯახრაკ-ქამანდ-ცენტრ-მეისტარები ხართ კლოუნობისა, რომ მე სად შემიძლიან ცალი დაბიდვათ?! მერე კიდე რაღა მე მომაბენით, თქვე დიდებულო შტუკ-მეისტარო, შედით ეშ.-მათრახის“ რედაქციაში, რომელი მათგანი გინდათ, ასლი საცირკო კლოუნია. ნურას უკაცრავათ!..

ნამდვილი საქმის ვითარება ასე იყო და ამის მოწმე ვარ.

**თომა პუსა·**

ქართველ ესდეკების გუთნის დედა, მარქსიზმის დასათესად საქართველოში.

ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწერავს, ყველას უფასოთ გაეგზავნებათ „ნიშადურის კრებული“ და აგრეთვე **ი. ჭავჭავაძის** დიდი სურათი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი და ყველა ძველი №№-იც.

## ხოტბა

(მუხაყრუას სოფლის კანცელარიის)

ჯაგარსა და კვერცხს ვაჭრობდა, არ ქონდა დიდი მოგება,
სამაგიეროდ ამ ჟამად მამასახლისი ბძანდება;
წინედ ახალთაობაში სახელიც ჰქონდა წევრისა,
მაგრამ ნატვრა აღუსრულდა—რეაქციასაც ეღირსა.
ძველი ბეჭედი გაგზავნა, ახალი გამოიწერა,
სასამართლო განაახლა, „შპიონობა“ გაავრცელა
ვინც ურჩადა შეამჩნია ცივ ქვეყნენში გააგზავნა,
ჩააქრო არეულობა და მონობა დაამყარა,
თუ ესტუმრა ბოქაული იმას ტაბლას გაუმართავს,
გოჯს, ინდოურს, ბატს და ქათამს, მაშ რათ უნდა თუ არ დაკლავს,
მაგრამ ამ ბოლო ხანებში საჯაყ საქმე დამართნია,
ინდოურის ხორცის ჯიჯგნით წინაკბილი ჩავარდნია;
წერლადა ყავს გაიძვერა, გაწვრთნილი ბოროტებაში,
ძველი ნამამსახლისარი, მექრთამეთა უსტაბაში.
სტრაჟნიკად ჰყავს არამზადა, ღვთისგან შეჩვენებულია,
მუშტი-მათრახის შამოკვრა მისგან მოგონებულია. .
ჩამოვიდა ღარიბ-ღატაკ,დღეს კი ყველაფერი ახლავს,
ნაძარც-ნადავლით გამაგრდა და ფუთობით სირმა აკრავს,
ბევრია კიდევ ამ სოფლად „სანიშადურო“ გმირები
ზოგი მგელი, ზოგი მელა, ზოგი დიდ ყურა ვირები!..

**ოფეთელი.**

**გამოცანა-რებუსი**

ვინც პირველად გამოიცნობს, იმას საჩუქრად მიეცემა „ნიშადურის“ №№-ბი წარსულის წლისა მშვენიერ ყდაში.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძული, მუხრახსკი. სახლი № 1.

**ნიშადური ეკრძალება ეროვნული ბიბლიოთეკა „ნიშადურის“ ხელმოწერა ფასი 2 ეგზ.**

**ეკონ. ეგზ. ეგზ. ეგზ.**

**რედ--გამომცემელი ვალერიან გუნი.**